

ვითარებითბრუნვისფორმიანი სახელისა და ზმნისართის მართლწერისათვის

სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ უთანდებულო ვითარებითბრუნვისფორმიანი სახელით გადმოიცემა: ა) უბრალო დამატება (ვითარებისა და თანაობისა: „ჩარექა ნახევარ **თუნგად** იქცევა, ნახევარი თუნგი – **თუნგადა**“; „აგერ ესტატეც გამოჩნდა თავის **სტუმრებიანად**“); ბ) შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი („დილაზე ავადმყოფი **უარესად** შეიქნა“; „დარჩა **ქვრივად** საწყალი ლუარსაბი“); გ) ადგილის გარემოება („**მინდვრად** თოვლი აღარ იდო“); დ) დროის გარემოება („**ძველად, ძველისძველად**, როგორც ყველამ ვიცით, კაცობრიობა განადირებული ცხოვრობდა“); ე) ვითარების გარემოება („ხეხილი **წითლად, ყვითლად, თეთრად** ჰყვაოდა“; „იქ **ჯგუფად** ისხდნენ ბუზები“); ვ) მიზნის გარემოება („[მამალმა] მტრების **გასაგულისებლად, გასაჯავრებლად** სამჯერ ზედიზედ დაიცივლა“; „ნოდარმა ორი მეზრძოლი გაგზავნა **დასაზვერად**)... შენიშვნა: არსებითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა კავშირის როლს ასრულებს დანართთან („**დურმიშხანი, გვარად წამალაძე, იმერელი იყო**“; „**ლამას დარჩა ერთი მცირეწლოვანი ვაჟი, სახელად დავითი**“) [კვაჭაძე 2010: 233].

თანამედროვე ქართულში გამოიკვეთა კიდევ ერთი ფუნქცია უთანდებულო ვითარებითბრუნვისფორმიანი სახელისა, რომელიც სინტაქსურად უბრალო დამატებას უკავშირდება. ეს ის შემთხვევაა, როცა ამა თუ იმ -ად სუფიქსიანი ფორმით წარმოჩენილია პაციენსის ფუნქცია-მოვალეობა, მაგალითად: თავო ბავშვთა **ექიმად** მუშაობს პოლიკლინიკაში; ირაკლი **მასწავლებლად** მუშაობს საბავშვო ბაღში; გიო **პროგრამისტად** მიიღეს ოფისში; კაკო **ქურდად** ზის სოლოლაკში; ნათია **სტუმრად** მივიდა მეგობართან და ა. შ. მათ, ვფიქრობთ, შეიძლება ეწოდოს სტატუსის პაციენსები.

აღსანიშნავია ისიც, რომ -ად სუფიქსი (ხმოვანფუძიანებთან -დ), ფართოდ გამოიყენება როგორც ტერმინთქმნადი ფორმანტი (ხსნადი, დრეკადი, კუმშვადი...), ხოლო თანამედროვე ქართულში

ის კიდევ უფრო გააქტიურდა და გვხვდება ისეთ ფუძეებთან, რომლებთანაც მანამდე ნაკლებად ან საერთოდ არ დასტურდებოდა (ცნობადი, გაყიდვადი, ყურებადი, მოსმენადი...).

წინამდებარე წერილი შეეხება ერთ კონკრეტულ შემთხვევას, კერძოდ, ვითარებითბრუნვისფორმიანი სახელისა და ვითარების ზმნისართის გამიჯვნის საკითხს, შესაბამისად – მასთან დაკავშირებულ მართლწერის პრობლემასაც (ზოგი ფორმის გათვალისწინებით).

ერთსა და იმავე ფუძეებზე დამყარებული ვითარებითბრუნვისფორმიანი სახელები და ვითარების ზმნისართები ძირითადად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან ფორმოზოგიური თვალსაზრისით. მათი გამიჯვნა შესაძლებელია მხოლოდ კონტექსტის გათვალისწინებით, მაგ., **კარგად** შეიძლება იყოს როგორც სახელი, ასევე – ზმნისართი, შდრ. სახელის ფუნქციით (უბრალო დამატება): „ავსა **კარგად** ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“; ვითარების ზმნისართის ფუნქციით (ვითარების გარემოება): „ავთანდილცა დაჰმორჩილდა, საუბარი გარდაწყვიდეს, იცინოდეს, ყმაწვილობდეს, საყვარლად და **კარგად** ზმიდეს“.

ან კიდევ:

დიდად – როგორც სახელი (უბრალო დამატების მსაზღვრელი): „ესე მიჩს **დიდად** სახელად, არ თავი გამიქიქია“;

დიდად – როგორც ვითარების ზმნისართი (ვითარების გარემოება): „სმა-ჰამა **დიდად** შესარგი, დება რა სავარგულია“ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ მაინც შეინიშნება ერთსა და იმავე ფუძეზე დამყარებული ვითარებითბრუნვისფორმიანი სახელისა და ვითარების ზმნისართის ფორმოზოგიურად გამიჯვნის ერთგვარი ტენდენცია გარკვეული ტიპის შემთხვევებში, კერძოდ, რამდენიმე **-იერ** სუფიქსიანი მქონებლობის სახელი (მშვენიერი, ღონიერი, გონიერი...) ზმნისართად მოქცევისას (ვით. ბრუნვაში) იკუმშება (მშვენივრად, ღონივრად, გონივრად...), ხოლო სახელის ფუნქციით გამოყენებისას, როგორც წესი, უკუმშველია (მშვენიერად/ღონიერად/ღონიერად... გადაიქცა), შდრ.: „ქალიშვილი **მშვენიერად** მღეროდა“, მაგრამ: „გედი ქალად იქცა – თვალწარმტაცად, **მშვენიერად**“ (გერმ. ლეგენდა); ან კიდევ: „გაიოზმა ცხენს **ღონიერად** გადაჰკრა მათრახი“ (ლ. ქიაჩ.), მაგრამ: „ახლა დევმა მეცხრე თავი გამოიბა და კიდევ უფრო **ღონიერად** გადაიქცა“ (ქართ. ზღაპ.). ანალოგიური ვითარება

გვაქვს **გონივრად** მოიქცა და **გონივრად** გადაიქცა შემთხვევაშიც. აღნიშნული ტიპის ფორმები სახელის ფუნქციით, რა თქმა უნდა, ძირითადად მსაზღვრელებად დასტურდება (მსაზღვრელ-საზღვრულის პირდაპირი წყობისას: მშვენიერ ქალად, ღონიერ დევედ...), შესაბამისად, მათი კუმშვა-უკუმშველობის საკითხიც ნაკლებად აქტუალურია, თუმცა პრობლემა განსაკუთრებით იჩენს თავს ორთოგრაფიულ ლექსიკონებზე მუშაობისას, როცა სახელს (საჭიროების შემთხვევაში) მრგვალ ფრჩხილებში უნდა მიეწეროს ნათ. ბრუნვის ფორმა, მაგ., „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ ორთოგრამას **მშვენიერი** მრგვალ ფრჩხილებში მიწერილი აქვს ვით. ბრუნვის ფორმა (მშვენივრად) და არა ნათესაობითისა, მაშასადამე, გათვალისწინებულია მხოლოდ ზმნისართული ფუნქცია (ფრჩხილებში წარმოდგენილ ფორმას ვგულისხმობთ). აღსანიშნავია ისიც, რომ **მშვენივრად** ცალკე ერთეულადაც არის წარმოდგენილი. ანალოგიური ვითარება გვაქვს სხვა შემთხვევაშიც: **ღონიერი** (ღონივრად) – ნათ. ბრუნვის ფორმა არც აქ აღინიშნება, თუმცა ორთოგრამა **გონიერი** წარმოდგენილია შემდეგნაირად: **გონიერი** (გონიერისა), ხოლო ზმნისართი **გონივრად** ცალკე ერთეულად დასტურდება. ვფიქრობთ, სწორედ ამგვარად უნდა იქნეს გათვალისწინებული დასახელებული ტიპის ყველა სახელი ორთოგრაფიულ ლექსიკონებში, მაშასადამე, ორთოგრამას ფრჩხილებში უნდა მიეწეროს ნათ. ბრუნვის უკუმშველი ფორმა: **მშვენიერი** (მშვენიერისა), ხოლო ზმნისართი **მშვენივრად** ცალკე ერთეულად უნდა წარმოვადგინოთ (ბუნებრივია, შეკუმშული ვარიანტით).

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: სტუდენტებთან (და, ბუნებრივია, მოსწავლეებთანაც) მუშაობისას (დასახელებული ტიპის საკითხებზე) ხშირად გვიწევს მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიული წყობით ბრუნება – თუნდაც იმის წარმოსაჩენად, რომ სწორედ ამ შემთხვევაში მქდავანდება მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ყველა ბრუნვაში:

სახ.	ქალ-ი	მშვენიერ-ი
მოთხრ.	ქალ-მა	მშვენიერ-მა
მით.	ქალ-ს	მშვენიერ-ს
ნათ.	ქალ-ის	მშვენიერ-ის
მოქმ.	ქალ-ით	მშვენიერ-ით

ვით.	ქალ-ად	მშვენიერ-ად (და არა მშვენივრად)
წოდ.	ქალ-ო	მშვენიერ-ო

ან კიდევ:

სახ.	ბავშვ-ი	გონიერ-ი
მოთხრ.	ბავშვ-მა	გონიერ-მა
მით.	ბავშვ-ს	გონიერ-ს
ნათ.	ბავშვ-ის	გონიერ-ის
მოქმ.	ბავშვ-ით	გონიერ-ით
ვით.	ბავშვ-ად	გონიერ-ად (და არა გონივრად)
წოდ.	ბავშვ-ო	გონიერ-ო

ვფიქრობთ, დასახელებული ტიპის სახელთა ნათ. ბრუნვის ფორმები (რომლებიც უკუმშველია – ზმნისართებისაგან განსხვავებული) აუცილებლად უნდა აისახოს ორთოგრაფიულ ლექსიკონებში.

მნიშვნელოვანია შემდეგიც: ზოგჯერ ზმნისართული ფორმაც წარმოგვიდგენს შეუკუმშავ ფუმეს (დასახელებული ტიპის შემთხვევები გვაქვს მხედველობაში), მაგ., **ღონივრად/ღონიერად** მოუსვა ნიჩაბს, მაგრამ სახელად გამოყენებისას აუცილებლად უკუმშველი ვარიანტი გვექნება (**ღონიერად** გადაიქცა).

ლიტერატურა

კვაჭაძე 2010 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, 1950-1964, თბილისი.

ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, მეორე შეესებული გამოცემა, 1998, თბილისი.

Tamar Vashakidze

**On Spelling a Nominal Having the Equative
Case Marker and an Adverb**

Summary

Nominals with the equative case marker and adverbs that have one and the same base do not differ from one another in terms of a structure. They can only be differentiated by taking the context into consideration, e.g. **ķargad** may be an adjective in the equative case or an adverb. However, there is a part of adjectives (suffixed with **-ier**) that differ from one another with respect to syncope in the equative form – adverbs are syncopal, e.g. **mšvenivrad** cękvavs while nominals are non-syncopal, e.g. gedi kalad gadaikca – **mšvenierad**, tvalčarmčad.